



საია უმაღლესი განათლების კანონის იმ ნორმას, რაც სტუდენტურ თვითმმართველობას პრივილეგიებს ანიჭებს საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს

2016 წლის 9 მაისს 12 საათზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისში გაიმართა საიას და აუდიტორია 115-ის წევრების ერთობლივი პრესკონფერენცია, რომლის მონაწილეებმა საზოგადოებას მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია საკონსტიტუციო სასამართლოში შესატანი კონსტიტუციური სარჩელის თაობაზე. აუდიტორია 115-ის 7 წევრი მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მთელი რიგი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. საია იცავს აუდიტორია 115-ის წევრების ინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოში.

კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ არის გამხდარი „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის ის ნორმები, რაც, სტუდენტური თვითმმართველობის წევრების გარდა, სხვა სტუდენტებს ართმევს უფლებას, აირჩიონ აკადემიური საბჭოს წევრები. ასევე, გასაჩივრებული ნორმებით, მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის წევრები ღებულობენ მონაწილეობას ფაკულტეტის საბჭოს დაკომპლექტების პროცესში. ფაკულტეტის საბჭოს წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის წევრი. თვითმმართველობის არანევრ სტუდენტს არა აქვს, აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის შესაძლებლობა. დამოუკიდებელი სტუდენტი ვერც ფაკულტეტის საბჭოს წევრს აირჩევს და ვერც ამ ორგანოში იქნება არჩეული.

მოსარჩელები ასევე ითხოვენ, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის ის ნორმა, რაც სტუდენტურ თვითმმართველობას განუსაზღვრელ უფლებამოსილებას ანიჭებს. მოსარჩელებს მიაჩნიათ, რომ ეს განუსაზღვრელი უფლებამოსილების დამდგენი ნორმა გახდა მიზეზი, რის გამოც წლების განმავლობაში სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების და სხვა პრივილეგიების პრაქტიკა ჩამოყალიბდა.

მოსარჩელებს მიაჩნიათ, რომ გასაჩივრებული ნორმები წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (თანასწორობის უფლება), ვინაიდან უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევა და მასში მონაწილეობა არის სტუდენტური თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილება. გასაჩივრებული ნორმები ასევე ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტს (გაერთიანების თავისუფლება), ვინაიდან უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობის მისაღებად სადავო ნორმები აიძულებს აუდიტორია 115-ის წევრებს, განსხვავებული შეხედულებების მქონე სტუდენტური თვითმმართველობის წევრებთან ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებას. სადავო ნორმები ასევე ეწინააღმდეგება მოდის კონსტიტუციის 29-ე მუხლთან, რაც იცავს, მათ შორის სტუდენტის უფლებას, სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაიკავოს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შესაბამისი თანამდებობა.